პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 22 (12534) | შაბათი 26 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

აგიტპუნქტი—სააგიტაციო მუშაობის ცენტრი

ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადება მშრომელთა დეპუტატების მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახვედრად.

არჩევნებისათვის მზადება ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრებაში. მაგრამ ახლა, შეიდწლეიდის მეხუთე წლის დასაწყისში, ეს მზადება განსაკუთრებულია. იგი იმ პერიოდს დაემთხვა, როცა საბჭოთა ადამიანები პარტიის ახალი პროგრამის მიხედვით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, როცა მთელი ძალით გაჩაღდა ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

თვენახევარზე ცოტა მეტი დრო დარჩა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებამდე. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დგას ამოცანა — ორგანიზებულად, ყველგან მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოეწყოს არჩევნები. ყველა წინასაარჩევნო ღონისძიება უნდა გაიმართოს ლადგენილ ვადაში, გულმოდგინედ. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ წინა არჩევნების დროს დაგროვილი საუკეთესო გამოცდილება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა, აგრეთვე ის ახალი ფორმები და მეთოდები, რასაც თვით ცხოვრება ბადებს.

ამჟამად რესპუბლიკის მშრომელთა შორის, ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — ყველგან ფართოდ არის გაშლილი საგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა. მთელი ამ მუშაობის ძირითადი შინაარსია გულმოდგინედ, ყოველმხრივ განემარტოთ ამომრჩევლებს სკკპ პროგრამა, პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკემბრის სესიის დადგენილებები და მასალები.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრებს კი აგიტპუნქტები წარმოადგენენ. რესპუბლიკის უმრავლესი ქალაქებისა და სოფლების აგიტპუნქტებში უკვე კარგა ხანია ხალხმრავლობაა. მიმზიდველად. შინაარსიანად არის მოწყობილი აგიტპუნქტები თბილისში, რუსთავში, სოხუმში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. აქ ამომრჩეველთათვის ყველა პირობაა შექმნილი — მოისმენონ საინტერესო საუბრები, გაეცნონ ჩვენი დღეების ამსახველ გამოფენებს, მიიღონ საჭირო პასუხი თავიანთ შეკითხვებზე და სხვ.

ამომრჩეველთა საყვარელ ადგილად იქცა რუსთავში, თავაური არხის დასახლებაში მდებარე აგიტპუნქტი (გამგე ს. გომელაური). აქ მოწყობილია პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის საინტერესო გამოფენები, იმართება შინაარსიანი საუბრები და ლექციები, დაიწყეს დოკუმენტალური კინოფილმების ჩვენებაც. აგიტატორები, რომლებიც აგიტპუნქტში სისტემატურად მორიგეობენ, ამომრჩევლებს ეხმარებიან საარჩევნო, მხატვრული, პოლიტიკური ლიტერატურის შერჩევაში, დამაკმაყოფილებელ პასუხებს იძლევიან მათს შეკითხვებზე.

არჩევნებისათვის მზადებას დროულად შეუდგა სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ამას წინათ პარტიბიურო სხდომაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი. საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად დამატებით გამოჰყვეს 30-მდე აგიტატორი. ბევრი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება ამ კომბინატის აგიტპუნქტში (გამგე ა. სხულუხია). მოეწყო მხატვრული, პოლიტიკური და საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები. აგიტატორები სისტემატურად მართავენ საუბრებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. როგორც ფაქტები მოწმობენ, ზოგან პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ უფიქრიათ არჩევნებისათვის მზადებაზე. აგიტპუნქტებისთვის გამოყოფილი ოთახები ამჟამადაც გამოკეტილია და არავითარი მუშაობა არ წარმოებს წყალტუბოს, თელავის, ზნაურის, ოჩამჩირის და სხვა რაიონების ზოგიერთ სოფელში.

წყალტუბოს რაიონის სოფელ საწირეში ქარგა ხანია აგიტპუნქტისათვის ოთახი გამოჰყვეს, მაგრამ იქ არათუ ამომრჩეველები, თვით აგიტპუნქტის გამგე ი. გამთენაძეც არ შესულა. აგიტატორები მუშაობას არ შესდგომიან. ამ სოფლის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს ვ. გვენეტაძეს კი, ჩანს, ჯერაც „ვერ მოუცლია“ აგიტატორთა მუშაობისადმი ხელმძღვანელობისათვის.

სახარბიელო მდგომარეობა არც ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაშია. გუშინ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. დურგარიანმა განაცხადა, არჩევნებისათვის მზადებაზე მითითებას რაიონული ცენტრიდან ველოდებითო.

გუმისთელებს საუკეთესო კეთილმოწყობილი კლუბი და ბიბლიოთეკა აქვთ, მაგრამ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამ კერებს აქ ცუდად იყენებენ. კლუბის გამგე ბ. ჯანაშია და ბიბლიოთეკის გამგე რ. პერტაია სამუშაოზე ხშირად დიდი დაგვიანებით ცხადდებიან. როგორც აქ განაცხადეს, კოლმეურნეობაში აგიტპუნქტის მოწყობას მაშინ შეუდგებიან, როცა პარტიულ კრებაზე აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის მ. კაკანოვის ინფორმაციას მოისმენენ (?!). ეი უპასუხისმგებლობის შეუწყნარებელი მაგალითი.

პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტების, სამრეწველო საწარმოო ზონებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საზრუნავი ის არის, რომ განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი არჩევნებისათვის მზადების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაკვეთად. პარტიული ბიუროების, კომიტეტების მსჯელობის საგნად უნდა გადეს უპასუხისმგებლობისა და უდარდელობის ყოველი ფაქტი. აგიტპუნქტები, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ეს ცენტრები ყველგან უზრუნველყონ საქმის მცოდნე, ენერგიული კადრებით. არჩევნებისათვის გაშლილ საგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში აქტიურად ჩაებან წარმოების მოწინავე ადამიანები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის წევრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ყოველდღიურად მზარდ საარჩევნო კამპანიას თან ხდევს მასების ახალ-ახალი შემოქმედება, შრომითი აქტივობა. თვითეულმა აგიტპუნქტმა ღირსეულად რომ შეასრულოს მოვალეობა, თავისი მოღვაწეობის მთელი შინაარსი უნდა დაუქვემდებაროს მშრომელთა წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. საამისოდ უნარიანად უნდა იქნას გამოყენებული საგიტაციო საუბრები, ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

უფრო ფართოდ გავშალოთ საგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის! ყოველი აგიტპუნქტი უნდა გადავაქციოთ ამ მუშაობის მებრძოლ შტაბად, რომ მომავალი არჩევნები, ვიდრე ოდესმე, ჩატარდეს უფრო ორგანიზებულად, მაღალ დონეზე, მთელი საარჩევნო კამპანია გადაიქცეს რესპუბლიკის მშრომელთა ახალი მიღწევების დემონსტრაციად კომუნისტური მშენებლობის ნათელ გზაზე.

ლექციები, მოხსენებები, საუბრები

რუსთავი. (საკ. კორ.). ღირსეულად შეეგებებით არჩევნებს, მივცემთ სამშობლოს, დიდძალ თუჯს, ფოლადს, მინერალურ სასუქებს, ცემენტს, საშენ მასალებს — ამ დევიზით შრომობენ ამჟამად რუსთაველი მშრომელები.

მზადება საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ფართოდ გაჩაღდა. ყველგან — ქარხნებში, ფაბრიკებში, საწარმო-დაწესებულებებში იმართება ლექციები, მოხსენებები, საუბრები. აგიტატორები, მკითხველ-მესაუბრეები და ლექტორები მშრომელებს ღრმად განუმარტავენ საბჭოთა კონსტიტუციას, საბჭოთა დემოკრატიას, საარჩევნო დებულებას. უფროდღიის ცენტრში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისა და ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ამ დღეებში პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა პარტორგანიზაციის მდივნების, აგიტპუნქტების გამგეების, აგიტატორების საქალაქო თათბირი. თათბირმა განიხილა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

ახალი გამოფენა

ქ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენა, რომელიც ეძღვნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის შრომები სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, საბჭოთა დემოკრატიის შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების საკითხებზე და სხვ.

არჩევნებისადმი მიძღვნილი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში დაიწყო არჩევნებისათვის მზადება. ეს დღეები შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით აღინიშნება. წარმატებით მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროს პირველი უბნის კოლექტივი. აქ თავდადებულად შრომობენ მბურღავები ა. ცარციძე, გ. კაპანაძე, მ. აბაშიძე, სკრეპერის მემანქანეები დ. კილაძე, ბ. ნეფარიძე, ა. ცარციძე, მადნის სატვირთი მანქანის მემანქანე გ. წიქვაძე, მებიგეები ვ. ლაბაძე, შ. ნოზაძე, გ. მაჭარაშვილი და სხვები. ისინი არჩევნების დღისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დგანან და იბრძვიან, რათა კვარტალის დავალება არჩევნების დღისათვის შეასრულონ.

წარმატებით შრომობს აგრეთვე დიმიტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის უბნის კოლექტივი, რომელსაც ნ. გოგატიშვილი ხელმძღვანელობს. დიმიტროვის სახელობის მაღაროს მოწინავე აგიტატორებმა პ. გოგატიშვილმა, ნ. მესხმა, ვ. კაპანაძემ, გ. ბრეგვაძემ უკვე გამართეს არჩევნებისადმი მიძღვნილი პირველი საუბრები.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის № 2 მექანიკურ-ამწყობ საამქროში ფართოდ გაჩაღდა არჩევნებისათვის მზადება. სურათზე: აგიტატორი პ. ჩუბინიძე მუშებს ესაუბრება ახალი საარჩევნო ოლქების შექმნაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



მზადება არჩევნებისათვის!

მომგზავდებული ხვდებიან

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხშირი წვიმებია ახლა კოლხიდაში. მიუხედავად ამისა, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს სოფლის მშრომელები არცერთ დღეს არ კარგავენ უქმად, საკოლმეურნეო მინდვრებში ტრაქტორები გუგუნებენ. მიმდინარეობს მზრალად ხვნა, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. დღეისათვის სამმართველოში მოხნულია 1.785 ჰექტარი ფართობი, გეგმა კი 1.350 ჰექტარს ითვალისწინებდა. ამასთან ერთად მიმდინარეობს სიმინდის, სოიის და ლობიოს თესლის კონდიციამდე აყვანა. კოლმეურნეობების მექანიზატორები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს უკეთებენ რემონტს.

საგაზაფხულოდ კარგად ემზადება ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ჯ. ჯიშკარიანი). წელს აქ 245 ჰექტარზე დაითესება ერთწლიანი კულტურები. აქედან სიმინდს სამარცვლედ 185 ჰექტარზე დათესავენ. კოლმეურნეობა თესლით უზრუნველყოფილია, მიმდინარეობს სათესი ფართობების შემოკავება, ყამირის ათვისება და მზრალად ხვნა.

ტრაქტორის საჭესთან

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური ტრაქტორისტებში მოწონება და ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოიწვია გორელი მექანიზატორების პატრიოტულმა თაოსნობამ. პირველი სვირის ბ. ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა პ. კაკაურიძემ იკისრა ტრაქტორის მართვა შვასწავლოს ოთხ ახალგაზრდას.

თერჯოლის სამანქანო-სამელიორაციო სადგურის მოწინავე მექანიზატორები ტრაქტორისტობას შეასწავლიან 20 კოლმეურნეს. სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ცხადაძემ ვალდებულება აიღო ტრაქტორის საჭეს დაუფლოს სამი კოლმეურნე. ამდენივე ტრაქტორისტს ამზადებენ მოწინავე მექანიზატორები გრ. რევიშვილი და ზ. ბრეგვაძე.

უხვი მოსავლის ოსტატი

გორი, 25 იანვარი. (საქდესი). სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლისა და ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატთა შორის გამოირჩევა კოლმეურნე ს. გალუსტაშვილის ბრიგადა. გასულ წელს ბრიგადამ ჰექტარზე 700 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა.

ბრიგადის წევრები მიღწეულს არ სჯერდებიან, მომავალი წლის უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის იბრძვიან.

ზვიდწლედის შრომითს ვახტზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია გრძელდება ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და ურალის საავტომობილო ქარხნის კოლექტივების ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება.

ამ დღეებში გაიმართა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც ქარხნის კოლექტივის სახელით მიიღო ახალი სოციალისტური ვალდებულებები და გადაწყვიტა ზვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის კვლავაც გაგრძელოს შეჯიბრება ურალელ თანამოსაქმეებთან.

ქუთაისელები კისრულობენ 25 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური დავალება.

ავტომშენებლებმა 1963 წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ავრეთვე თბილელი ჩარხმშენებლები და ელმავალმშენებლები.

ლოხუმი. (საკ. კორ.). ზვიდწლედის მეხუთე წელი ახალი შრომითი წარმატებით დაიწყო სოხუმის ხორცკომბინატის კოლექტივმა. აქ იანვრის პირველ დეკადაში თვიური დავალება 42,5 პროცენტით გაანაღდეს. გეგმის გადამეტებით გამომშვებულია 20 ათასი მანეთის პროდუქცია.

კომბინატის საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის საამქროს, რომელსაც გ. ბუკია ხელმძღვანელობს. საამქროს შრომის შედეგი ყოველწლიურად 120-130 პროცენტს აჭარბებს.

ბოსლეულ-ბოსტნეულის შეხვედრა!

წყალტუბოელ მხვნელ-მთესველებთან

წყალტუბო. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემოქმედებითი შრომის ცეცლი ანთია. მხვნელ-მთესველები, მექანიზატორები მაქსიმალურად იყენებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს და შარშანდელთან შედარებით უფრო თადარიგიანად ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

სამმართველოს მეურნეობებმა მზრალად მოხნეს 3.500 ჰექტარი, ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. საგულისხმოა, რომ ყოფილი ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც აქამდე მზრალად ხვნას არ აწარმოებდნენ, ასობით ჰექტარი სასიმინდე ფართობი მოხნეს. მექანიზატორები უკვე ამთავრებენ ტექნიკის მომზადებას. შეკეთებულია 70 ტრაქტორი თავისი მისაბმელი მანქანებით.

საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ ემზადებიან სოფელ გვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის, გუმათის ორჯონიკიძის სახელობის, მაღლაკის რუსთაველის სახელობის, ოფშკვითის, ორპირისა და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში. ამ მეურნეობებში სათესლე მასალა უკვე კონდიციამდეა აყვანილი, მთლიანად შეკეთებულია და მზად არის ტექნიკა, წარმატებით მიმდინარეობს ხვნა, მინდვრად სასუქების გატანა.

დაწინაურდნენ...

ბათუმი. (საკ. კორ.). ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ზოიძე და დ. პავლიშინა ხელმძღვანელობენ, გადაწყვიტეს იანვრის ბოლომდე დაამთავრონ პლანტაციების გადაბარვა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებათა განხორციელება.

მეურნეობაში გაიყვანეს ახალი წყალსაწრეტი არხი 5 კილომეტრზე. სადრენაჟო ქსელი — 70 კილომეტრზე, 85 ჰექტარზე ჩატარდა პლანტაციების ფუმიგაცია. განსაკუთრებით ბეჯითად მუშაობენ მოწინავე მეზიარეები ვერა ფროლოვა, ანა ბირიუკოვა, ჟელაგია მანიაკინა და სხვები.

ფართოდ ვნერგავ ბიოლოგიურ ფაფარს

ახალი წლის დასაწყისში კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტბიუროს გადერთიანებულ სხდომაზე სერიოზულად ვიმსჯელეთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ მაშინ ყველაფერი წესრიგზე არ იყო. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ახლა სულ სხვა სურათია. გვაქვს 13 ტრაქტორი და ყველა მზად არის. შეკეთებულია მისაბმელი მანქანა-იარაღებიც.

წელს კოლმეურნეობაში 600 ჰექტარი სიმინდი დათესება. აქედან 300 ჰექტარი სამარცვლე იქნება, ხოლო 300 ჰექტარი — სასილოსე. გადაწყვეტილი გვაქვს სიმინდის ნათესის ოვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 25 ცენტნერი მარცვალი და 350 ცენტნერი მწვანე მასა.

ნათქვამია: რასაც დათესავ, იმას მოიმკიო. ამიტომ დიდ ყურადღებას ვაქცევთ მაღალხარისხოვანი თესლის მომზადებას. ნიადაგი მზად არის. საგაზაფხულო კულტურები მზრალად ხნულზე დათესება.

წელს გავითვალისწინებთ გასული წლის ნაკლოვანებებს. ეს შეეხება სასუქების გატანას. მინდვრად გავიტანთ 1.000 ტონა ორგანულ სასუქს.

ვ. ელიზბარაშვილი,

თეთრი წყაროს რაიონის ბორბალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. გ. ბუდუმიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **არტავაზდ გიორგის-ძე ბუდუმიანი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 25 იანვარი.

ოკეანეთა ქვეყნები

„ღერძის“ დოკუმენტური გაფორმება“

ბონი, 25 იანვარი. (საქდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთები დაფდაფს სცემენ იმის გამო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ადენაუერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ“.

პარიზში მიღწეული შეთანხმება, ბევრი გაზეთის აზრით, მიზნად ისახავს დასაბამი მისცეს ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთ ევროპის“ შექმნას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და საფრანგეთის მეთაურობით. გაზეთი „გენერალ-ანციაგერი“ აშკარად აცხადებს: პარიზის ხელშეკრულება იმის „ცდაა, რომ დაამკვიდროონ საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ჰეგემონია ევროპაში“. ეს გაზეთი ხელშეკრულებას ახასიათებს როგორც „პარიზ-ბონის ღერძის დოკუმენტურ გაფორმებას“.

შეხვედრა ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 25 იანვარი. (საქდესი). გუშინ აქ სსრ კავშირის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო და განიარაღების საბჭოა კავშირის წარმომადგენელი 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში ს. კ. ცარაპკინი შეშვიდეჯერ შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის საადგილმამავლო დირექტორს უ. ფოსტერს და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მოადგილეს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში ჩ. სტელს. შეხვედრას აგრეთვე დაესწრო დიდი ბრიტანეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ორმსბი-ჰორი. შეხვედრა მიეძღვნა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის განხილვის საკითხს.

შემდგომი შეხვედრა მოეწყობა 25 იანვარს.

რესპუბლიკის მხარეზე

კაირო, 25 იანვარი. (საქდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, გუშინ იემენის ქალაქ რადაში ბეიპანის სამთავროდან გადავიდა რვა ჯარისკაცი, რომლებსაც თან ჰქონდათ ინგლისური იარაღი.

ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ინგლისის ხელისუფლებამ მისცეს იარაღი რესპუბლიკური იემენის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მათ ამჯობინეს იბრძოლონ თავიანთ იემენელ ძმებთან ერთად.

ამერიკელ-ევროპელ ცნობები

ევროპა ატომურ ბაზად

ინგლისი ამერიკელ ატომურ ბომბებს ინახავს ინგლისში, ინგლისელ ატომურ ბომბებს — ინგლისელ ბაზებზე, ამ ბომბებს ინგლისელ ბომბდამშენ ავიაციას ინგლისელ ეკიპაჟებიანად ინგლისელ ბაზებიდან ინგლისელ ბომბდამშენ ავიაციაზე

პარტიული ცხოვრება

პარეული თვალი —წარმოების სიღრმეში

ზინაბარი ლენინგორის კოლმეურნეობებისა და სატბურნოების მეურნეობების საწარმოო სამმართველოში შედის. ეულს ახარებს ამ სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები, ცისფერაფერადე გაშლილი ბაღები და ვენახები. რა არ ხარობს, რა არ მოდის ამ მაღლიან მიწაზე!

სამი-ოთხი წლის წინ, რომ იტყვიან, ქუხდა წინაგრის კოლმეურნეობა. მისი გამოცდილების გასაზიარებლად მოდიოდნენ მემინდვრეები და მებოსტნეები, მეევნახეები და მებაღეები, მეცხოველეები და მექანიზატორები. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ძუგაევის მკერდს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი ამშვენებდა. ეს მაღალი აღიარება მან კოლმეურნეობის მიერ მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებით და ენერგიული შრომით მოიპოვა.

მაგრამ ეს იყო სამი-ოთხი წლის წინათ... ახლა კი აქ სულ სხვა მდგომარეობაა. კოლმეურნეობაში ვეღარ ნახავთ მაღალპროდუქტიულ ძროხებსა და გასუქებულ ღორებს, დაკანდაგებული, მოუვლელად მიტოვებული პირუტყვი შესაბრალისად გამოიყურება. სანახეროდ და უფრო მეტად შემცირდა მარცვლეულის, ხილისა და ყურძნის მოსავლიანობა.

რა მოხდა? — კითხულობდნენ ლენინგორში საქმეში ჩახედული ადამიანები და თვითონვე იძლეოდნენ პასუხს: — წავიდა არტელის თავკაცი, საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი და შესუსტდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა.

ეს უთუოდ მართალია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მხოლოდ ამით აგვეხსნა წინაგრის კოლმეურნეობის ჩამორჩენა. ბევრი სხვა მიზეზიც ამეხრუკებდა კოლმეურნეობის წინსვლას. საჭირო იყო ამ მიზეზების გამორკვევა, შესწავლა და გამოსწორება, მით უმეტეს, რომ ახლოდება გაზაფხული, როცა საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსავალს.

სწორედ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი ლენინგორის საწარმოო სამმართველოს ახლადარჩეულმა პარტიულმა კომიტეტმა. წინაგარში მდგომარეობის ღრმად შესწავლა დაევალა პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეს ა. მარგიევს. მან ამ საქმეში ჩაიბა საწარმოო სამმართველოს საუკეთესო სპეციალისტები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები, სოფლის აქტივისტები.

წინასწარ კარგად მომზადებული საკითხი განიხილა პარტიული კომიტეტის გამსვლელმა ბიურომ.

ბიუროს სხდომას მრავალი ადამიანი ესწრებოდა. აქ იყვნენ სოფლის კომუნისტები, ბრიგადირები და მექანიზატორები, ახალგაზრდა აქტივისტები. საკითხის განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მეზობელ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. ირკვევა ნამდვილად არასახარბიელო მდგომარეობა. კოლმეურნეობა მზად არ არის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ნელი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი. ჭიანურდება ნაკელის მინდვრად და ბაღ-ვენახებში გატანა. უკონდიციოა თესლი. დიდი ხარვეზებია პირუტყვის გამოზამთრებაში. პროდუქტიულ პირუტყვს საკვები არ ჰყოფნის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ხუბულოვი ვერ უარყოფს ამ მწარე ფაქტებს. სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ჯუსოევმა, მისმა მოადგილეებმა ე. ხოცუაშვილმა და ა. მარგიევმა, საწარმოო სამმართველოს უფროსმა ს. დარსაველიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. დურგლიშვილმა ბიუროს სხდომის დაწყებამდე დათვალიერეს მეცხოველეობის ფერმა, ღია ცის ქვეშ მიყრილ-მოყრილი შეუკეთებელი სათესები, ბუნებები და ხეხილის შესაწამლი აპარატები, ტალახში ჩაფლული კომბაინები. ყოველივე ამის გამო ბიუროს სხდომაზე ცხარე მსჯელობა გაიმართა.

— კოლმეურნეობის გამგეობა სრულიად არ ზრუნავს ტექნიკაზე. ჩვენთან, ბრიგადაში, იშვიათად ნახავთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და პარტორგანიზაციის მდივანს. ტრაქტორისტების, კომბაინერების შენიშვნებს გამგეობა ყურად არ იღებს. — აცხადებს ტრაქტორისტი რ. ბიჩუნოვი.

გულისტკივილით ილაპარაკა ახალგაზრდა მეღორემ მაყვალა ხუბულოვამ. წინა წლებში ეს ბაჯითი გოგონა ასობით ღორს ასუქებდა და აბარებდა სახელმწიფოს.

— შარშან კი, — თქვა მან, — გეგმაც ვერ შეგასრულე, რადგან არც ღორები მომიჩინეს მოსავლელად და არც საკვები მჭონდა. გულით მინდა, რომ დაკისრებული მოვალეობა გავამართლო, მაგრამ გამგეობა ხელს არ მიწყობს.

პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილემ აღიარა, რომ ბევრი კომუნისტი გულგრილად ეკიდება საქმეს. კომუნისტებმა ი. ჩერტკოევმა და ა. კუდუხოვმა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმიც არ გამოუმუშავებიათ. სოფელში მცხოვრები ბევრი კომკავშირელი თავს არიდებს საზოგადოებრივ საქმეს. კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძვიან ზარმაცებს, მექთახორებს, საკოლმეურნეო წესდების ეხებიდ დამრღვევებს.

სოფელი დიდია, მაგრამ ორიან-ცრუ კოლმეურნეები, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობენ, ხოლო სოფლად კოლმეურნის ყველა უფლებით სარგებლობენ; აქვთ საუკეთესო საკარმიდამო ნაკვეთები, საკუთარი პირუტყვის გამოსაზრდელად იყენებენ საკოლმეურნეო საძოვრებსა და მდელოებს. ყოველივე ამას პატრონსანი კოლმეურნეები უყურებენ და გული უტყდებათ.

ცუდად არიან შერჩეული ბრიგადირები. სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ვ. გუსოევის და ი. ხუბულოვის ბრიგადები. ბრიგადირებს უნარი არ შესწევთ სწორად მოაწყონ შრომა. გაზაფხული ახლოვდება, ბოლები და ვენახები კი დაუმუშავებელი აქვთ. ძუკაითიყაუს უბანში თივის ზვინები ისე ცუდად დადგეს, რომ საკვები მთლიანად დალპა, კოლმეურნეობის გამგეობამ პასუხი არაფის აგებინა.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ თუ ახლავე სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, წინაგრის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები საფრთხეში აღმოჩნდება.

საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის გამსვლელმა ბიურომ სასტიკად გააფრთხილა კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომ უახლოეს დღეებში სასწრაფოდ აღმოფხვრონ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი, მოამზადონ თესლი, დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, ორი კვირის ვადაში ფერმებიდან მთლიანად გაიტანონ ნაკელი მინდვრად და ბაღ-ვენახებში, შეამზადონ მინერალური სასუქი. ბიურომ დაავალა კოლმეურნეობის გამგეობას ბრიგადირებად, ფერმების გამგეებად შეარჩიოს უფრო გამოცდილი, საქმის მოყვარული ადამიანები, გააძლიეროს კონტროლი მათი მუშაობისადმი.

წინაგრელ კომუნისტებს, გამგეობის წევრებს დაევალათ მტკიცედ იბრძოლონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად შესრულებისათვის. ზარმაცებსა და მექთახორებს საკარმიდამო ნაკვეთები და ზედმეტი პირუტყვი ჩამოერთვათ. ისინი ვეღარ ისარგებლებენ კოლმეურნის უფლებებით. ბეჯით კოლმეურნეთა წასახალისებლად ფართოდ იქნება შემოღებული შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი.

პარტიული კომიტეტის ზონის ინსტრუქტორებს და ინსპექტორ-პარტორგანიზატორებს დაევალათ გაშალონ კოლმეურნეთა შორის ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა, აამაღლონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

ბიუროს ამას გარდა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ წინაგრის კოლმეურნეობის ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას.

ნ. ჯანჯღავა,
ი. თედიაშვილი.

წარმატებით მიმდინარეობს დღეს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. 8 ათასზე მეტი ცხვარი ითვლება სოფელ ტიბაანის არტელში, აქედან 5 ათასი ნერბია.

სურათზე: ზოოტექნიკოსი ლევან დოლმაზაშვილი (მარცხნივ) და მეცხვარე ჯუმბერ სომხიშვილი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

მბრძოლავი შუქურები

ბოლოდროინდელ კონკრეტული გეგმა და მას საფუძვლად დაედო პირველი მიწის ალ[illegible] ... წარმოებაში 75 ცენტნერი 100 ჰექტარ სანერგეზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა საბრალულებზე. ... კოლმეურნეობებმა კი, რომლებმაც უკვე მიაღწიეს ამ დონეს, უნდა განაგრძონ წინსვლა მეორე და მესამე ეტაპებისაკენ, აწარმოონ 100 და 150 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე.

ჩაქვის რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში ხორცის წარმოების დონეც დაბალია. 1961 წელს რაიონის 53 კოლმეურნეობიდან ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე 9 კოლმეურნეობამ აწარმოა მხოლოდ 7,5 ცენტნერი ხორცი, 24 კოლმეურნეობამ — 15 ცენტნერამდე და 21 კოლმეურნეობამ — 15 ცენტნერზე მეტი.

ჩაქვის რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ ხორცისა და რძის წარმოების მკვეთრი გადიდების კარგი შესაძლებლობა, ოღონდ საჭიროა ყველა რეზერვის დეტალურად შესწავლა, თვითეული კოლმეურნეობაში ხორცისა და რძის წარმოების გადიდების კონკრეტული გეგმისა და ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, თვითეული მუშაკისათვის გასაგები და ხელისაწვდომი გამომუშავების პროგრესული ნორმის შემუშავება.

ჩაქვის რაიონის კოლმეურნეობებში ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ინტერესები მოითხოვს საწარმოო სამმართველოს მუშაკებთან ერთად კოლმეურნეობებს საჭირო დახმარება გაუწიონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერმა მუშაკებმა, სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების სპეციალისტებმა. მათი ვალია კოლმეურნეობებს დაეხმარონ ხორცისა და რძის წარმოების გადიდების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებაში, გამომუშავების სწორი, პროგრესული ნორმების დადგენაში, მოწინავეთა გამოცდილების, შრომის საუკეთესო ხერხებისა და მეთოდების დანერგვაში, იმაში, რომ მეცხოველეობის ყველა დარგი რენტაბელური იყოს, რომ კვლავ ანათებდნენ ჩვენი სახელოვანი შუქურები, რომ მათი გამოცდილება ყველას, ფართო მასების მონაპოვარი გახდეს.

კ. ელიზბარაშვილი,
აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

რატომ იფლანგება დიდი რეზერვები?

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მარგანეცის მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდა. წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ავტომატიკის დანერგვით, შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით შვიდწლედის ბოლოსათვის შრომის ნაყოფიერება სულ მცირე 30 პროცენტით უნდა გადიდდეს.

ჭიათურელმა მაღაროელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და საქმით იბრძვიან მისი განხორციელებისათვის. მარგანეცის ტრესტმა 20 დეკემბერს შეასრულა გასული წლის დავალება და ჭიათურიდან მეტალურგიული ქარხნებისაკენ გაგზავნა ათეულ ეშელონობით ზეგეგმითი მარგანეცი.

ჩვენთან ახალი სამთო ტექნიკის დანერგვისა და გამოყენებისათვის უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა. მწყობრში ჩადგნენ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი ითხვისის, დარკვეთისა და მოვიმეგის მაღაროები და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, აგრეთვე კარბონატული მადნების გამამდიდრებელი და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკები.

ბოლო წლებში დაინერგა მადნის ღია სამუშაოებით მოპოვების მეთოდი, რომელიც მძლავრი ტექნიკის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და ერთობ რენტაბელურია. აქ მუშაობენ დიდი წარმადობის ექსკავატორები, საბურღი მანქანები და მძლავრი ავტომანქანები. საკმარისია აღინიშნოს, რომ კარიერებზე იყენებენ ახალი კონსტრუქციის საბურღავ მანქანას, რომლის წარმადობა ათჯერ მეტია ადრე არსებულ მანქანასთან შედარებით. ამ მეთოდით მარგანეცის მოპოვება მთელი გამოღებული მადნის 15,3 პროცენტს შეადგენს და მას განუხრელი ზრდის პერსპექტივა აქვს.

მაგრამ მას აქვს ერთი ჩრდილოვანი მხარეც — **ზიანდება გადახსნილი ნიადაგი და იგი წლობით გამოუსადეგარია.** ეს ფრიად მნიშვნელოვანი და საშეგილშვილო საკითხი დროულად დაისვა. საქმეში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და გეოლოგიის ინსტიტუტიც ჩაერია. დარკვეთში აღდგენილ იქნა ათ ჰექტარამდე ნიადაგი, სადაც კარგად გაიხარა ვაზმა, ხეხილმა, სიმინდმა, ბოსტნეულმა. მაგრამ ათი ჰექტარის აღდგენა ზღვაში წვეთია: **გადახსნილი ნიადაგი ყველა ზეგანზე აღიკვეთებლად უნდა აღვადგინოთ.**

მიწისქვეშა დამუშავებისას მეტი ყურადღება ეთმობა ლაქებს. ამ მეთოდით გამოგვაქვს მთელი გამოღების მეოთხედი. ლაქებში მადანი იტვირთება სკრეპერებით, რომლებიც აქ ომამდე დაინერგა და, ბუნებრივია, მისი კონსტრუქცია საქმაოდ მოძველდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტი 1962 წლიდან ატარებს ცდებს სასკრეპერო დანადგარის უფრო მაღალწარმადი მექანიზმით შესაცვლელად. ეს კარგი საქმეა და მეტ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

მადნის სანგრეეებში ხელით შრომა ელექტროსატვირთმა მანქანებმა შეცვალეს. ამჟამად მთელი მადნის თითქმის სამოცი პროცენტი მექანიზმებით იტვირთება, მაგრამ სიძნელეები აქაც გვაქვს. გაძნელდა ისეთი სატვირთო მანქანის კონსტრუქციის შექმნა, რომელიც მცირეგაბარიტიან სანგრეებში იმუშავებდა. როგორც იქნა, მოხერხდა და კრიეოი



ამ. 3-2 ბვერდი, შაბათი,
26 იანვარი, 1963 წ.

... ბრიკეტის ... ...

ბ ... ... (სკ. კორ.). აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ქვანახშირის ბრიკეტის დამამზადებელი ახალი ქარხანა. ახალი წლის პირველ დღეებში მან უკვე გამოუშვა 200 ტონამდე ენერგეტიკული სათბობი.

ბრიკეტის პირველი პროდუქცია გაიგზავნა თბილისში, ცხინვალში და ჭიათურაში. ავრეგატების სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ქარხანა დღეღამეში დაამზადებს 28 ტონა ბრიკეტს.

კოლმეურნე ქალის იუბილე

აფხაზეთში ფართოდ ცნობილია მარიამ ადლეიბას სახელი. სამი ათეული წელია, რაც იგი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს და ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს. 30 წლის მანძილზე მ. ადლეიბას მოკრეფილი აქვს დაახლოებით 150 ტონამდე ჩაის ფოთოლი, რაც რკინიგზის ერთ ეშელონში ვერ დატეოდა, ხოლო მის გადასაზიდავად ასზე მეტი სატვირთო მანქანა იქნებოდა საჭირო.

ამას წინათ მ. ადლეიბას 60 წელი შეუსრულდა. უკვე ბალარა ქალი კვლავ ჯანმრთელად გრძნობს თავს. ყოველდღე გამოდის ჩაის პლანტაციის საზამთრო სამუშაოთა შესასრულებლად. შარშან მან 6,7 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა.

აღინიშნა ვეტერანი კოლმეურნის დაბადების 60 და საკოლმეურნეო შრომის 30 წლისთავი. მშობლიურ კოლმეურნეობაში დიდძალი მისალოცი დეპეშა მოვიდა იუბილარის სახელზე, სტუმრებიც ბევრი იყო. კოლმეურნე ქალს ეწვივნენ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მიხეილ ბღაჟბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბაგრატ შინკუბა, ოჩამჩირის რაიონის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი აკაკი ღვინჭილია, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ივანე ამიჩბა და სხვ. მათ მრავალი წლის სიცოცხლე და წარმატებები უსურვეს იუბილარს.

მ. ჰომუა.

პარტიის პირველი მაისის რაიკომის პლენუმი

ბუსინ, 25 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო პლენუმმა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **გ. ნ. გოშაძე.**

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **ე. ა. შევარდნაძე** და შეიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში.

ბრიკეტის ქარხანა

ტყიბული. (სკ. კორ.). აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ქვანახშირის ბრიკეტის დამამზადებელი ახალი ქარხანა. ახალი წლის პირველ დღეებში მან უკვე გამოუშვა 200 ტონამდე ენერგეტიკული სათბობი.

ბრიკეტის პირველი პროდუქცია გაიგზავნა თბილისში, ცხინვალში და ჭიათურაში. ავრეგატების სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ქარხანა დღეღამეში დაამზადებს 28 ტონა ბრიკეტს.

საზოგადოების მკაცრი კონტროლით

ფელეტონი

... მხოლოდ დაპირება

კვირას ქალაქ ცხაკაიას თითქმის ყველა მაღაზია შემოვიარე, მაგრამ ლამპის შუშა ვერსად ვიშოვნე. ერთგან დამცინაკადაც კი მიპასუხეს:

— რა დროს ლამპის შუშაა? ელექტრონ, მალე იქნება...

დაღლილმა საკოლმეურნეო ბაზარს მივაშურე. შესასვლელთან გადამყიდველები შეგხვდნენ. გკითხე ლამპის შუშა ხომ არა გაქვთ-მეთქი.

— რამდენი გსურს? ცალს მანეთი უნდა! — მიპასუხეს ერთხმად.

ბოლოდაწყვეტილი დავბრუნდი სახლში. მოიცადეს: საიდან აქვთ სპეკულანტებს ლამპის შუშები, როცა ასეთის მაღაზიის თაროზე ვერ შეხვდებით.

ი. ნამყეფია.

რედაქციისაგან: მსგავსი სიგნალები სხვა რაიონებიდან და თბილისიდანაც მოგვდის. ამ საკითხზე გასული წლის ოქტომბერში რედაქციამ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გადაუგზავნა თბილისელი მკითხველის ვ. ძნელაძის საჩივარი. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროდან ათი დღის შემდეგ რედაქციას შეატყობინეს შემდეგი: „ბაღნობებმ, რომ მილებულია სათანადო ზომები, რათა სავაჭრო ქსელი უზრუნველ. ყოფილ იქნას ლამპის შუშებით“.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ლამპის შუშები კვლავ იშვიათად ჩანს დახლის თაროზე. დაპირებას შესრულება უნდა, ვაჭრობის მუშაკებო!

საქმის მოთავე რომ იყოს...

ცნობილია, რომ ჩვენს ზონაში ხშირი წვიმები იცის, წყალი გუბდება. წყლით იფარება ნათესები, პლანტაციები, საძოვრები. ამის აღსაკვეთად ზომები უნდა მივიღოთ.

20-25 წლის წინათ კოლხიდაში ჩატარდა დიდძალი სამუშაოები. ამოშრობილ იქნა ათასობით ჰექტარი მიწა. იქ, სადაც წინათ მალარია და ჭაობი მეფობდა, ახლა ჩაის, ციტრუსების პლანტაციები და სიმინდის ნათესებია.

გაიარა წლებმა. დროთა განმავლობაში წყალსაწრეტი არხები ამოივსო, დაიძანგა და გაფუჭდა წყლის გადასაჭრელი ტუმბოები. წყალგამტარებს არ შეუძლიათ გატარონ დაგუბებული წყალი. ამაზე ბევრჯერ დავაყენეთ საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ საქმის მოთავე არავინ გამოჩნდა, ხელი არავინ გამოგვიწოდა, რომ არხები და გადასაჭრელი ტუმბოები წესრიგში მოგვეყვანა.

საჭიროა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და „კოლხიდმშენმა“ გაატარონ ახალი სამელიორაციო ღონისძიებანი კოლხიდის ზონაში, რათა მიწის მესიები გადარჩეს ისევ დაჭაობებას.

ნ. ცხვიტაია,
ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლაქები სინდისზე

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება ათას წვრილმანთან არის დაკავშირებული — ბაზართან, მაღაზიებთან, საზოგადოებრივი კვების ადგილებთან, ყოფაცხოვრების კომბინატებთან. დღეს ყველამ იცის, რომ მატერიალური დონის ზრდასთან ერთად გაიზარდა გემოვნებაც და მოთხოვნილებაც. ამიტომ კეთილდღეობის განვითარების ტემპებისა და სავაჭრო და სხვა სათანადო დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციის შეუსაბამობა ხშირად დიდად აწუხებს ადამიანს. ეს უბრალო საქმე როდია, ადამიანის საერთო კეთილდღეობაში ეს ყოველდღიური საქმეები საკმაოდ სერიოზულ ადგილს იკავებს და მას სასხვათაშორისოდ არ უნდა მოვეკიდოთ.

ჩვენში ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი კვების ადგილებს, მუშათა სასადილოებს, სასკოლო ბუფეტებს. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ყველა ნაკლოვანების გამოსწორების გზა საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი კონტროლია. საჭიროა სიმკაცრით მოვეკიდოთ იმათ, ვისაც სხვა ადამიანების კეთილმოსახურება აბარია და მხოლოდ თავისი თავის კეთილმოწყობაზე ფიქრობს. აეიღოთ თუნდაც ერთი უბრალო მაგალითი.

თბილისს № 5 პურის ქარხნის გამომცხვარ პურში ერთმა მოქალაქემ ნახა 70 სანტიმეტრი კანაფი. ოქტომბრის რაიონის სანეგზისადგურმა საქმე თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის პროკურატურას გადასცა, პროკურატურამ ადგილზე მიიღეთ „ზომებიო“ და დაწესებულებას გადაუგზავნა ეს საქმე, იქაც მიიღეს „ზომები“, ადმინისტრაციული სასჯელი დაადეს ცალის უფროსს და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს პროკურატურას, პროკურატურამ არ დაიზარა და სანეპიდსადგურს მოსწერა, დამნაშავე დაისაჯოს.

სინდისიერად რომ თქვას კაცმა, მისწერეს, მოსწერეს ქაღალდები ერთმანეთს, საქმე კი... მიიფარცხა.

რატომ? ალბათ, როცა პურში კანაფის ნაცვლად საბაგირო გზა აღმოჩნდება, მაშინ მიიღებენ უფრო მკაცრ და გადამჭრელ ზომებს.

გასული წლის 5 ოქტომბერს ოქტომბრის რაიონში № 19 კიოშეში ნახეს, რომ ოთხი მაწნის ბოთლის ძირში სილა იყო ჩაყრილი. ისევე, როგორც პურის ქარხანაში, აქაც მოსწერეს და მოსწერეს ქაღალდები ერთმანეთს, სანეპიდსადგურმა — პროკურატურას, პროკურატურამ — რძის კომბინატს, რძის კომბინატმა — პროკურატურას.

ხელოსან გ. კვიტაიშვილს და მანქანის მუშა გ. არდანაშვილს საყვედური გამოეცხადათ.

საინტერესოა, მაწნის ბოთლში აუცილებლად დარიშხანი უნდა ყოფილიყო, რომ უფრო პასუხისმგებელ ამხანაგებისათვის ეთქვათ საყვედური?

არ უნდა მივიფიქრეთო, არ უნდა ჩავფარცხოთ ასეთი საქმეები, არ უნდა ვუძახოთ მას „წვრილმანი“, ასეთი წვრილმანებისაგან იქმნება საკმაოდ დიდ ზიანი.

ჩვენთან მუშათა სასადილოების მომარაგებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ბევრგან სანიმუშოდაც არის დაყენებული საქმე, მაგრამ ზოგან ისეთი სამარცხვინო მდგომარეობაა, რომ შესულაც კი მოერდება კაცს. იგივე უნდა ითქვას სასკოლო ბუფეტებზეც. ზოგან ისეთ მოცუცქნულ ოთახში არის ბუფეტი მოთავსებული, რომ წყლის გასაცხელებელი ადგილიც კი არა აქვთ.

გასულ წელს № 63 სანავშო ბაღში საქონლის ხორცისგან დაამზადეს კერძი, რომელიც სრულიად უბარისხო იყო.

შემოიარეთ ქალაქის მთელი სასადილოები, თუ ნახავთ მაგიდაზე მენიუს. ზოგჯერ მაგიდაზე ისეთი სუფრაა გადაფარებული, რომ შეგეშინდებათ.

— რა არის, კაცო, ეს ტალახიანი მაგიდის გადასაფარებელი? — ეტყვი ოფიციანტს.

— ამ წუთში, ბატონო! — ისე გაკვირვებით წამოძახებს ოფიციანტი, თითქოს პირველად გიგონია ასეთი რამ, ეცემა სუფრას და... გადააბრუნებს. ასეთ ამბებზე ახლა არ უნდა გვეხდებოდეს ლაპარაკი.

არაკისთვის უცხო არ არის, რომ დიეტური სასადილო ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს. მაგრამ არის ბევრი შემთხვევა, როცა ავადმყოფები უჩივიან სადილების ხარისხს, კეთილმოსახურებას, გათბობას. ალბა, როგორ უნდა ისადილოს პალატიანმა კაცმა.

თბილისში, № 19 დიეტურ სასადილოში გასულ წელს კალორიული განაწილების დარღვევისათვის შეფშზარეული ორჯერ დაჯარიმეს. ნუთუ ასე ძნელია შეფშზარეულის შეცვლა?

...დადგა დრო, ჩვენმა საზოგადოებრიობამ უნდა მოიცალოს ამ ყოველდღიურობისათვის. როგორ შეიძლება, რომ მთელი დღის პატიოსანი შრომით დაღლილი ადამიანის ცხოვრებაში ადგილი ეთმობოდეს უხარისხო პროდუქციაზე, წუნის მკეთებლებზე, სპეკულანტებზე და თაღლითებზე — ფიქრს, თუ მოვინდომებთ, ამ წუთშეს ისე მოვსპობთ, რომ მისგან ნიშანწყალიც არ დარჩება.

...შორს არ არის ეს დღეც!

რ. დვალიშვილი.

სად შევიძინოთ?

ადამიანის ჰიგიენისათვის აუცილებელია კბილის ჯაგრისი და უსაშიშრო საბურთებელი. მაგრამ აგერ მეორე წელია ჭიათურის მაღაზიებში ასეთ რამეს ვერ იშოვნის მომხმარებელი.

— არა გვაქვს, არ ვიღებთ, — გვიპასუხებენ ვაჭრობის მუშაკები. ნუთუ ასე ძნელია ამ საგნების დამზადება ან შემოზიდვა?

ვფიქრობთ, სათანადო ორგანიზაციები იზრუნებენ ამ თითქოს მცირე, მაგრამ ადამიანისათვის მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად და არ ჩაგვაგდებენ სპეკულანტების ხელში.

ვ. გაფრინდაშვილი,
ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მუშა.

რაოდენობა

... 53 ... 1960 ... 1.388 ... 1960 ... 1.817 ... 3.034 ... 1.303 ... 1963 ... 211 ... 1695 ... 1962 ... 700-ზე ... 4.000-ზე ... 5.356 ... 1962 ... 1963 ... 1.281.900 ... 1963 ... 15,3 ... 30 ... 1963 ... 1962 ... 1.335 ... 43 ... 1.281.900

ორი მოვლენა, ორი შეფასება

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

უცხოეთის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ნიუ-იორკის მოლაპარაკებას ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ. გაზეთები გამონათქვამებში ჭარბობს ოპტიმისტური კილო. ბევრი კომენტატორი იმედს გამოთქვამს, რომ მიწისქვეშა საცდელი აფეთქებების შეწყვეტისადმი კონტროლის საკითხზე საბჭოთა კავშირის ახალ კონსტრუქციულ წინადადებათა მეოხებით შეთანხმება შეიძლება მიღწეულ იქნეს შედარებით მოკლე ვადაში.

„ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის საბოლოო შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადების შესაძლებლობა,— წერს დღეს პრაღის გაზეთი „პრაცე“, ჯერ არსებობს არ ყოფილა ისე რეალური, როგორც ახლა, საბჭოთა კავშირის მეოხებით მოხდა თვალსაზრისთა ისეთი დაახლოება, რომ შეთანხმების მთავარი თეზისები შეიძლებოდა დასახულიყო ჯერ კიდევ ეენევის თათბირის მუშაობის განახლებამდე“.

კომენტატორთა მეორე დიდმნიშვნელოვანი თემაა, განსაკუთრებით საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, ინგლისისა და ამერიკის პრესაში, დე გოლისა და ადენაუერის მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში.

დასავლეთ გერმანიის მეტი წილი გაზეთები ამკარა კმაყოფილებით განმარტავენ ამ აქტს, რომელმაც საბოლოოდ გააფორმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის სამხედრო შეთანხმება. მაგრამ პარიზის თითქმის ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ მოვლენას უარყოფითად ეხმაურებიან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. დღეს გაზეთები ბევრ ადგილს უთმობენ იმას, რომ ეროვნულ კრებაში დაიწყო საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტის განხილვა.

ინგლისის გაზეთები „ტაიმსი“ და „დეილი მეილი“ გაბარაზებას ვერ მალავენ და აღნიშნავენ, რომ ბონ-პარიზის შეთანხმება მოასწავებს იმას, რომ ინგლისი ჩამოშორდეს ევროპის საქმეებს, და შეიძლება ამას მოჰყვეს დასავლეთის კავშირის შესუსტება. „დეილი ექსპრესის“ პოლიტიკური მიმომხილველი იუწყება, რომ პრემიერ მაკმილანზე ახლა ძლიერ ზეგავლენას ახდენენ კაბინეტის წევრები, რომლებიც მოითხოვენ ალტერნატიული პოლიტიკის შემუშავებას იმ შემთხვევისათვის, თუ ჩაიშლება ბრიუსელის მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ ინგლისის შეუვანის შესახებ.

ამერიკის უდიდესი გაზეთები კვლავ არ გამოდიან იმასთან დაკავშირებით, რომ თვენახევარზე მეტია გრძელდება ნიუ-იორკის სტამბების მუშათა გაფიცვა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი საარსებო ინტერესებისათვის, მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში საგაფიცვო მოძრაობის ზრდას მოწმობს, გაზეთების ცნობით, რკინიგზელთა ახალი გაფიცვა ფლორიდაში.

გაზეთი „შაუინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ დიდ ყურადღებას უთმობს ცნობას ამერიკის რაკეტების „იუპიტერის“ მომავალი გამოტანის შესახებ თურქეთიდან და იტალიიდან. მათ შეიცვლას პირველი ამერიკის წყალქვეშა ნავებით, რომლებიც შეიარაღებულია უფრო ეფექტიანი „პოლარისის“ რაკეტებით. მიუხედავად ამისა, გაზეთი ცდილობს ეს ოპერაცია წარმოსახოს ღონისძიებად, რომელსაც დაძაბულობის შენელება უნდა მოჰყვეს.

ლონდონის გაზეთები დღეს წერენ გაზის რაციონირების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ არ ჰყოფნით ელექტროენერგია და ქვანახშირი ინგლისში. ლიბერალისტული გაზეთი „დეილი ჰერალდი“ ამასთან დაკავშირებით მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ არ არის კოორდინირებული პოლიტიკა და საკმარისი არ არის ენერგეტიკული მრეწველობისათვის გამოყოფილი სახსრები. (საკდესი).

ნორვეგიელი მინისტრი საბჭოთა კავშირის შესახებ

ოსლო, 24 იანვარი. (საკდესი). „საბჭოთა ეკონომიკა უდიდესი სისწრაფით ვითარდება. ამჟამად მრეწველობის ზრდის ტემპი სსრ კავშირში გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში“ — ასე დაახასიათა საბჭოთა ეკონომიკა ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრმა ჰუნდერსენმა, რომელმაც ვაჭართა კავშირის კრებაზე მოხსენება გააკეთა „აქტუალური საკაჭრო-პოლიტიკური პრობლემების“ შესახებ.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სოციალური სისტემა, რომელიც გაბატონებულია დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და რომლის მოსახლეობა 220 მილიონ კაცს აღემატება, საკუთარი კანონებით ვითარდება, საკუთარ შინაგან მამოძრავებელ ძალებს ემორჩილება. გვინდა ეს თუ არ გვინდა, ჩვენს წინაშე ისტორიის ახალი მოვლენაა. სისტემა შეიქმნა იმისათვის, რომ იარსებოს, და, ყოველ შემთხვევაში, იგი ნებას არ მისცემს რომელიმე გარეშე ძალას შეარყიოს ეს სისტემა, თქვა შემდეგ ჰუნდერსენმა.

ჰუნდერსენმა აღნიშნა, რომ სწრაფად იზრდება ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებს შორის.

ნორვეგიელმა მინისტრმა გააანალიზა ვაჭრობის მდგომარეობა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის დათქვა, რომ 50-იან წლებში საერთო საკაჭრო ბრუნვა მათ შორის ერთისამად გაიზარდა. მაგრამ ნორვეგიის ვაჭრობა „აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებთან 1955 წლის 5,2 პროცენტიდან 3,8 პროცენტამდე შემცირდა 1961 წელს“. ჩვენ გვინდა გავყიდოთ ჩვენი საქონელი ამ ქვეყნებში. ჩვენ ყიდვითაც უნდა ვიყიდოთ საქონელი ამ ქვეყნებში, ამასთან უნდა ვიყიდოთ იმდენივე, რამდენსაც ვყიდით, თქვა მან დასასრულს.

დიდი ტირაჟით

პარიზი, 25 იანვარი. (საკდესი). პარიზში დიდი ტირაჟით გროუშუტად გამოვიდა სპკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანო ლ ჰიუმანიტი ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის ულბრიხტის დაგეგმილია აგრეთვე ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისამართით ბერლინის სოციალისტური პარტიის VI ყრილობისადმი.

გროუშუტის გამოსვლამ საფრანგეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ტ. ჟივკოვისა და ი. ბროზ ტიტოს მომავალი შეხვედრა

სოფია, 25 იანვარი, (საკდესი). ბელგრადში გაიმართება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური მდივნის იოსიპ ბროზ ტიტოს შეხვედრა.

ახალი ინდოეთი

ასწლობით გმინავდა დიდი ქვეყანა ინგლისელ კოლონიზატორთა ულელქვეშ უცხოელთა ჩექმა თელავდა ბომბეისა და კალკუტას. ინდოეთის მიწია სიმდიდრით ივსებოდა დამპყრობთა ბეღელი. ხალხი მედგრად იბრძოდა, ახლაც ატყვია ძველი ნატყვიარები ქაშმირის კარებსა და შაჰკაპანის ძეგლს. ინდოელმა ხალხმა იმპერიალისტების მკაცრი განაჩენი გამოუტანა, განდეგნა ისინი სამშობლოდან, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დროშა აღმართა თავის ქვეყანაში.

თავისუფლად სუნთქავენ ახლა ინდოეთის სოფლები და ქალაქები. პენჯაბი თბილისს მომაგონებს, — ამბობს მწერალი ბალვან მარგი. თბილისი პენჯაბს, მოსკოვი დელის ეძმო. კეთილი მეზობლები დიდი მეგობრები გახდნენ. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ძმობა ხომ ოკეანესავით ღრმა და უსაზღვროა.

ბპილაი მარტო მისი დასახელებაც კმარა. მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში, მის მიერ ყოველწლიურად მილიონი ტონა ფოლადის გამოშვებაში ქართველი სპეციალისტების აზრისა და გონების ნაყოფიც არის. საბჭოთა კავშირი უანგაროდ დაეხმარა ინდური მძიმე ინდუსტრიის ამ პირმშოს შექმნაში. ამ დღეებში საფუძველი ჩაეყარა ახალი ბრმედის მშენებლობას. საბჭოთა მოწყობილობა ჩინებულია და მისი მეშვეობით მეორე ხუთწლედში ქარხნის სიმძლავრე ორნახევარ მილიონ ტონა ფოლადს მიაღწევს. საბჭოთა კავშირი ეხმარება ინდოეთს ელექტროსადგურების მშენებლობაში. ბხაკრაში და სინგრაულიში შრომითი ყიჟინაა. მალე აქედან ელექტროშუქი მოეფინება სოფლებსა და ქალაქებს. ჩვენი სპეციალისტები ეხმარებიან ინდოელებს მძიმე დაზგებისა და მძიმე ელექტრომოწყობილობის ქარხნების მშენებლობაში. რანჩის ქარხანა გამოუშვებს მოწყობილობას საკოქსე ბრძმედებისა და ღუმელებისათვის, ქიმიური მრეწველობისა და შახტებისათვის, ნავთობის საბადოების ბურღვისათვის. 1964 წელს ქარხანა უკვე მწყობრში ჩადგება და წელიწადში გამოუშვებს 80.000 ტონა მზა მოწყობილობას. იგი აღიჭურვება 900 აგრეგატით, ამწეებით, დამამზარე მოწყობილობით. ჩვენი სპეციალისტები შრომის პროცესში მოამზადებენ ქარხნის ინდურ პერსონალს.

**ინდოეთის საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ ეხმარება ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტები ერთად ეძებენ ნავთობს კამბეგში, ანკლეშვარში, კალოლეში. შენდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ჩვენი ქვეყანა ამ საქმეში ტექნიკურ დახმარებას უწევს და სამანქანო მოწყობილობას აწვდის. ტრაქტორებში ინდოეთი კოლტურები მიდიან ინდოელ მეტალურგებსა და სამედიცინო მოწყობილობის ქარხნისა, რომ[illegible] [illegible] [illegible] [

57 მარად უკვდავი

○ ვოლგაზე ბრძოლის ისტორიის უცნობი ფურცელი ⊙ იქ, სადაც ჩვენი ორი ოცეული იყო, ჰიტლერელთა სამმა დივიზიამ ვერ გაიარა ○ მამაცთა მეთაური ცოცხალია ○ კიდევ რომელი გმირი გამოგვეხმაურება?

ეს წერილი, რომელსაც გაზეთ „იზვესტიიდან“ ვბეჭდავთ, სამამულო ომში ვოლგაზე გმირობის ერთი უცნობი ფურცელია.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვთ გამოეხმაურონ, მოგვწერონ, თუ კი ვინმემ რაიმე იცის წერილში მოთხრობილი საბრძოლო ეპიზოდისა და მის მონაწილეთა შესახებ.

მალე აღინიშნება ვოლგოგრადის გმირული დაცვის 20 წლისთავი.

რედაქცია სთხოვს ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ამ გმირული ეპოპეის მონაწილეებს და მათს მახლობლებს, ნათესავებს მოგვწერონ ვოლგოგრადის ბრძოლებთან დაკავშირებული ამბები, საქართველოს იმ შვილების შესახებ, რომლებმაც გმირულად შესწირეს თავი ვოლგაზე, აგრეთვე მათ შესახებ, რომლებიც გამარჯვებული დაბრუნდნენ სამშობლოში.

მიღებულ მასალებს რედაქცია გამოიყენებს ამ თარიღისადმი მიძღვნილ ნომერში, აგრეთვე გააგრძელებს მათს პერიოდულ გამოქვეყნებას გაზეთის ფურცლებზე.

ველით თქვენს წერილებს, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო!



ვოლგის კბოდეს დამცველის „კომკავშირული ბილეთი, რომელიც ნოღმს ნამსხვრევეთი არის გაჭრილი.

* * *

ვოლგაზე დიდი ბრძოლის ჯარისკაცო, გახსოვს თუ არა ის დილა, როცა ყველაფერი წყდებოდა?

...ახლად გაღვიძებული დღის პირველი სხივები. სიჩუმე. ვისაც შეუცვნია სიჩუმე ბრძოლის წინ, მან იცის, რა გამახვილებულია ასეთ წუთებში სმენა, როგორ აღიქვამს ჯარისკაცი ცოცხალი სამყაროს ყველა ბგერას. მაგრამ ამ დაძაბულ სიჩუმეში შორიდან მოისმა შემზარავი ხმა.

— მოფრინავენ!... — გაისმა სანგრებში.

და დაიწყო. ფაშისტთა ასობით სვავი ტალღებად ატყდებოდა თავს ჩვენს საბრძოლო წყებებს. ეს დღე, 1942 წლის 14 ოქტომბერი, ჰიტლერმა ქალაქის აღების უკანასკნელ ვადად დანიშნა.

გერნანელი გენერალი დიორი ასე აღწერდა შეტევას სატრაქტორო ქარხანაზე: „ფრონტის ყველა მხრიდან, დონზე და ყალმუხთა ველებში განლაგებული ჯარების ფლანგებიდანაც კი, თავს ვუყრიდით მაშველ ძალებს საინჟინრო და ტანკსაწინააღმდეგო ნაწილებიდან და ქვეგანაყოფებიდან, რომლებიც ესოდენ საჭირო იყვნენ იქ, საიდანაც ისინი მოგვყავდა. ხუთი საათგრო ბატალიონი ბერით იქნა გადაყვანილი ბრძოლების რაიონში გერმანიიდან. შეტევას სრული შემადგენლობით ეხმარებოდა მე-8 ავიაკორპუსი.

შემტევმა ჯარებმა ორი კილომეტრით წაიწიეს, მაგრამ ვერ შეძლეს დაეძლიათ წინააღმდეგობა რუსების სამი დივიზიისა, რომლებიც ქარხანას იცავდნენ, და დაეკავებინათ ვოლგის შვეული ნაპირი“.

ჰიტლერელმა გენერალმა არ იცოდა, რომ საბრძოლო ქარხნის რაიონში კბოდეზე სამი დივიზია კი არ ყოფილა, არამედ იყო 57 უკვდავი, რომლებიც უმაგალითო სიმტკიცითა და გმირობით იცავდნენ თავიანთ უკანასკნელ ზღუდეს. ბევრი გმირი დაიღუპა, და კბოდეზე თავდაცვის ამბავი უკანასკნელ დღეებამდე დიდი ბრძოლის გადაუშლელი ფურცელი იყო. მხოლოდ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა კბოდეს გმირ დამცველთა ჯერ-ჯერობით რამდენიმე სახელი.

14 ოქტომბერი. ძერჟინსკის მოედანი საბრაქტორო ქარხნის პირდაპირ. არმიის საარდლის ბრძანებით აქ შეიქმნა ტანკსაწინააღმდეგო რაიონი. სამი 45-მილიმეტრიანი ზარბაზანი, ცხრა ტანკსაწინააღმდეგო თოფი და საწვავსითხიანი ბოთლებით შეიარაღებული ათი მოხალისე. ტანკსაწინააღმდეგო რაიონის მეთაურად დაინიშნა 112-ე დივიზიის ახალგაზრდა ლეიტენანტი ალექსი ოჩკინი.

პირველი იერიშები მოგერიებულ იქნა მოედანზე. ფაშისტებმა თოთხმეტი დამწვარი მანქანა დატოვეს და უკან დაიხიეს. მაგრამ ნახევარი საათიც არ გასულა, რომ მათი ტანკები კვლავ ეძგერნენ მოედნის დამცველებს. ტანკებს კალიასავით მოპყვებოდნენ მეავტომატეები. და იერიშები კვლავ მოგერიებულ იქნა. საბრაქტორო ქარხნის დამცველთა სიმტკიცე ვერც არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლმა გატეხა და ვერც ნანგრევებში მიმალული ტანკებიდან სროლამ. და მაშინ ავიაციას გამოუძახეს. სასტიკი დაბომბვისაგან მიწა ზანზარებდა. მოედანზე ასფალტი აგიზგიზდა. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ბრძოლის ადგილიდან ცად აღიმართა მიხაკისფერ-იისფერი ღრუბელი, რომელმაც ჰორიზონტი დაფარა.

ბომბის პირდაპირი მოხვედრებით მოსპობილ იქნა მედვედევის მარჯვენა ფლანგის ქვემეხი. მოედნის ცენტრში ქვემეხთან მწყობრიდან გამოყვანილ იქნა თითქმის მთელი გათვლა. ლეიტენანტმა ოჩკინმა მოკლული მემნენი შეცვალა და თვითონ დაუშინა ტანკებს. იქვე გვერდით ტანკსაწინააღმდეგო თოფს ისროდა დივიზიონის კომისარი ფილიმონოვი. მარცხენა ფლანგის ქვემეხთან ცოცხალი დარჩა მხოლოდ სამი და მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა მებრძოლი თხუთმეტი წლის ვანია ფედოროვი. ერთხელ იგი ფრონტზე მიმავალ ეშელონს აედევნა და ითხოვა ნება დაერთოთ შური ეძია დაღუპული დედ-მამისათვის. მაშინ ვერ დააჯერეს ბიჭუნა ზურგში დარჩენილიყო. იგი მალულად შეძვრა ვაგონის ბუფერზე და ამრიგად დივიზიასთან ერთად მოვიდა ფრონტზე. დივიზიონთან ერთად ვანიამ ბრძოლებით გაიარა დონიდან ვოლგამდე. მხოლოდ გუშინ მიიღეს კომკავშირში და მხოლოდ გუშინ შეუსრულდა თხუთმეტი წელი. მისი მამამილი ლეიტენანტი ოჩკინი თვითონ მხოლოდ თვრამეტი წლისა იყო, მაგრამ ვანია მის შვილად თვლიდა თავს. ალექსის უყვარდა ეს ბიჭი და, ფაშისტებით გარშემორტყმული რომ დაინახა, უნდოდა მიშველებოდა. მაგრამ მას გზა გადაუღობა კომისარმა ფილიმონოვმა:

— მობრუნდი, ტანკებია!

მხოლოდ ახლა შეამჩნია ოჩკინმა მტრის სამი მანქანა, რომლებიც ნანგრევებიდან გამომძვრალიყვნენ. მან კვლავ დაუშინა ცეცხლი მტერს. ვანია ფედოროვი კი ერთადერთიღაა ცოცხალი მთელი გათვლიდან. ფილიმონოვმა და ოჩკინმა დაინახეს, როგორ უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა მას მარცხენა ხელი. მან გრანატი სტყორცნა მოახლოებულ ტანკს. იქვე ახლოს უყმაბარა გასკდა, და ნამსხვრევებმა ბიჭუნას მარჯვენა ხელის მტევანი მოჰგლიჯა. მაშინ მან კბილები დასტაცა მძიმე ტანკსაწინააღმდეგო გრანატს, დასისხლიანებული ხელები მიიშველია, თხრილიდან ამოხტა და მტრის ტანკს მუხლუხებქვეშ შეუვარდა.,

„ორმოცდაჩვიდმეტის“ მეთაური გვარდიის კაპიტანი ალექსი ოჩკინი. 1945 წელი.

* * *

ლეიტენანტ ოჩკინის ჯგუფმა ბოლომდე შეასრულა თავისი ამოცანა. მოედანზე და გადაწყვიტა უეცრად გაერღვია გარემოცვა, რათა ტანკებთან ბრძოლა მეორე ზღუდეზე, ქარხანაში ეწარმოებინა.

საამქრო უზარმაზარია, ისინი თხუთმეტნი არიან. ათი მძიმედ დაჭრილი, რომლებიც ბრძოლის ველიდან გამოიტანეს, კვნესის, წყალს ითხოვს. მაგრამ ერთიოწუთით, ერთი ნაბიჯით არ შეიძლება მოშორდნენ ფანჯრის ჭრილებს. ყოველ წუთს შეიძლება საამქროში გერმანელები შემოიჭრან.

დილის ათი საათისათვის სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. 524-ე პოლკის მებრძოლთა ჯგუფს სამეედლო საამქროდან უკან დაახევინეს. მეთაური მოკლეს, მაშინ ოჩკინმა თან წაიყვანა ლეიტენანტი ვასილ შუტოვი და რამდენიმე ჯავშანგამტანი მებრძოლი და კვლავ უეცრად ეკვეთა გერმანელებს.

ამ დროისათვის მტრის ტანკებმა და მეავტომატეებმა მისი ჯგუფი ბორის ფილიმონოვს მოსწყვიტეს. ფილიმონოვთან დარჩა ათი მებრძოლი და დაჭრილები, რომლებიც ბრძოლის ველიდან უნდა გაეტანათ.

სამჭედლო საამქრო, სადაც ლეიტენანტ ოჩკინის მებრძოლები გამაგრდნენ, ნამდვილ ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ცეცხლი ეკიდა ზეთით გაჟღენთილ ორმოებს, რომელთა ადგილზე ოდესღაც წნეხები იდგა, ცეცხლი ეკიდა ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა დამწვარიყო. ალმოდებული მანქანების სულისშემხუთავ სიმყრალეში ადამიანებს სუნთქვა უჭირდათ. უეცრად უფროსმა სერჟანტმა კოზაჩოკმა ლეიტენანტს მოახსენა:

— იქ ნაპირზე, ხრამს უკან, ვოლგის პირას საომარი მასალების პუნქტია...

ციცხლიდან ჰიტლერელებს ეკვეთნენ ამოლებულ გერმანსტურებიანი მებრძოლები. გაფფრებული იყო მათი იერიში. ბევრი დაიღუპა, და მათი სიცოცხლის ფასად გარემოცვის რკალი გაარღვიეს.

ოჩკინმა თავის მებრძოლებს გადახედა. ისინი ოცდაათამდე დარჩენილიყვნენ. კოლია სმოროდინმა ალექსისთან ერთად გამოიარა მთელი გზა დონიდან ვოლგამდე... აი გრძელულვაშა ჩერნოშეიკინი, მოკრძალებული, ხანშიშესული მებრძოლი, აი სხვებიც — მათი უმრავლესობა მასთან ერთად შეხვდა 14 ოქტომბრის დილას ძერჟინსკის მოედანზე, მასთან ერთად იბრძოდა სატრაქტორო ქარხნის საამქროებში.

ოჩკინმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. მეთაურის ბრძანებით, თითო, ორ-ორი მებრძოლი მოკლე-მოკლე გადარბენებით გაეშურა კბოდესაკენ ზედ ვოლგის ნაპირზე.

უკანასკნელი ზღუდე... თითქმის შვეული ხრამი. 30 მეტრი. დაბლა ქვიშის ვიწრო ზოლია. ხრამიდან გადავარდნილ დაჭრილს ექიმი აღარ დასჭირდება. კბოდეა! აქ ყოველთვის ქარები ქრის. აქ დონის ძლიერ ქარს არაერთხელ მოუტანია აბზინდას სუნი, აქ მოდიოდა წინათ სატრაქტორო ქარხნის ახალგაზრდობა, რომ ვოლგის სანახაობით დამტკბარიყო... ახლა კი ქარხანა იწვოდა. სიბნელიდან ხრამისაკენ გამოიჭრებოდნენ ხოლმე განუწყვეტელი ბრძოლებით დაქანცული ჯარისკაცები. მათ დედის ძახილივით ახარებდათ ჯარისკაცების მკვახე შეძახება: „რაც გინდა თქვი, ასეთ წუთში კი თუნდაც საეჭიოდან გაიგონო, ოღონდ თავისიანის ხმა იყოს!...“

პირველსავე ღამეს კბოდეზე თხრილები ამოიღეს, შემდეგ კი საფეხურები გაკეთეს ზედ ნაპირამდე. მებრძოლებმა ნაპირზე ნაპოვნი თუნუქის ნაჭრები გამოიყენეს, რომ ბრძოლის დროს თოკით აეტანათ საომარი მასალები.

ოჩკინმა უკვე მესამედ ჩამოუარა ცოცვით თავის მებრძოლებს, უნდოდა თვითეულისათვის თვალებში ჩახედა. უკვე ბევრი რამ გაკეთდა თავდაცვის მოსაწყობად. კოზაჩოკი მეთაურობდა ორ ნაღმსატყორცნს, რომლებიც სროლის საჭირო ტრაექტორიის მისაღებად პირდაპირ წყალში ჩადგა მდინარის ნაპირზე.

„ოღონდ დაღამებამდე გავძლოთ“,— ფიქრობდა ალექსი. ყველაზე მეტად მარჯვენა ფლანგი აფიქრებდა. აქ უნდა ყოფილიყო მტკიცე, გამბედავი, შეუდრეკელი ადამიანი. პივოვაროვს ტყვიამფრქვევითა და ტანკსაწინააღმდეგო თოფით სწორედ ეს მარჯვენა ფლანგი ეჭირა თავდაცვაში, რომელიც ყველაზე ახლოს იყო გერმანელთა პოზიციებთან. და როცა ალექსის წინაშე დადგა საკითხი პოლიტნაწილში მოადგილის შესახებ, არჩევანი პივოვაროვზე მიდგა.

როგორც ჩვეულებრივ, თავდაცვის მეორე დღე გერმანელების იერიშებით დაიწყო. და მთელ დღეს, ისევე როგორც გუშინ, ვოლგის ნაპირზე განუწყვეტლივ ბობოქრობდა ბრძოლა.

როგორ სცადონ დაეხმარონ მძიმედ დაჭრილებს, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მეტი ხდებოდა? როგორ შეუმსუბუქონ ტანჯვა? ჩასკვნილი, ჯმუხი სტეფანე კუხტა, რომელიც ომამდე ცომბირში ჩანსკის ზეთის ქარხნის დირექტორი იყო, გაჭირვებით მიაცილებდა მათ დაბლა ზედ წყლისპირას. იქ ნაპირზე ნაპოვნი შემომწვარი დახეთქილი მორებისაგან ნავთობის ლაქები იყო, პირდაპირ ვოლგიდან ამოჭქონდათ, მაგრამ ის კიდევ უფრო სწვავდათ ყელს. და მთავარი ის იყო, რომ შიმშილი სტანჯავდათ. კბოდეს ქვეშ მდინარეში ბევრი ჩანდა ნახევრად გახხნილი, უყმბარებთია და ნაღმებით დახოცილი თევზი. თევზს ფიცარზე დებდნენ და თოფისწამლის კოცონზე წვავდნენ ან უმს ჭამდნენ. სრულიად მოულოდნელად თავდაცვის მეოთხე დღეს მებრძოლებმა ოჩკინს მოახსენეს:

— ამხანაგო დივიზიონის მეთაურო, ნაპირზე მიწით სანახევროდ დფარული ბლინდაჟში უამრავი სურსათია.

ბლინდაჟში შესვლა ო�ro იყო. სიბნელეში კასრებზე იწვა ავტომატმომარჯვებული მოხუცი ინტენდანტი. იგი სანახევროდ გაგიუებული იყო, გააფთრებით ყვიროდა: „ჰენდე ჰოხ!“ და ავტომატს უშენდა ჩვენებს. არწმუნებდნენ, რომ თავისიანები იყვნენ, მაგრამ კონტუზიამიღებული მოხუცი სრულიად მოუსაზრებლად განაგრძობდა სროლას. სურსათი ძალით წაართვეს. აღმოჩნდა შაშხი, კამფეტი „კიბოს ყელი“ და ხუთი ლიტრი წყალგაჩეული სპირტი... მაგრამ პური ერთი ნამეცეციც არ იყო.

რვა დღეღამეს გრძელდებოდა სასტიკი ბრძოლა მტერთან. მერვე დღეს 57-დან დარჩა მხოლოდ ცხრა, შემდეგ ექვსი, ბრძოლის ველზე ჩვენი ჯარისკაცების დიდი მამაცობის ძეგლად შავად მოჩანდნენ მტრის დამწვარი ტანკები.

ორმოცდაჩვიდმეტივემ — ცოცხლებმაც და მკვდრებმაც — გაძლო და უკვდავი მამაცობის შარავანდედით შეიმოსა.

მეცხრე დღეს კბოდეზე მოვიდნენ გოროხოვის ქვეგანაყოფის დასვენებული ჯარისკაცები. გერმანელები მიხვდნენ, რომ შვეულ ნაპირზე ზღუდეს ვერ აიღებდნენ, და ხელი აიღეს იერიშებზე. სამმა გადარჩენილმა, მათ შორის სტეფანე კუხტამ, კბოდე დატოვა და ვოლგის გაღმა წავიდა.

...ჰოსპიტლებში მკურნალობდნენ ჭრილობებს ალექსი ოჩკინი, ბორის ფილიმონოვი და 112-ე დივიზიის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და მეთაური. დივიზიის პირადი შემადგენლობა თითქმის მთლიანად გამოყვანილი იყო მწყობრიდან, მაგრამ დარჩა წმიდათა-წმიდა — დროშა. მალე ამ წითელი დროშის ქვეშ დადგნენ ახალი მებრძოლები, რომლებმაც შეცვალეს დაღუპულნი.

გავიდა დრო, და ჰოსპიტლიდან დაბრუნდნენ ალექსი ოჩკინი, ბორის ფილიმონოვი. შემდეგ კი დივიზია იბრძოდა კურსკის რკალზე. ჯარისკაცებმა და მეთაურებმა მისი დროშა ვოლგიდან ფაშისტთა შავ ბუნაგამდე — რაიხსტაგამდე ატარეს.

გავიდა ოცი წელი. ვოლგის ბრძოლის მონაწილე ჩვენი ჯარისკაცების, ოფიცრების, პოლიტმუშაკების უკვდავი გმირობა ხალხის გულში და საქმეებში ცოცხლობს. ნახანძრალებისა და ნანგრევების ადგილას აღიმართა დამშვენებული ქალაქი ვოლგოგრადი. მაგრამ გმირთა უყველაზე დიდი ძეგლია ჩვენი მომავალი — კომუნიზმი. გმირთა უკანასკნელი ფიქრები ჩვენდამი, ცოცხლებისადმი იყო მომართული. მათ გვიანდერძეს ცხოვრება — წმინდა და ნათელი.

ვლადისლავ სტეპანოვი.

ᲝᲞᲔᲠᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ „ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

უკანასკნელ წლებში ქართველმა კომპოზიტორებმა დიდი თუ მცირე ფორმის ბევრი საყურადღებო ნაწარმოები შექმნეს. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე მსმენელებმა იხილეს რამდენიმე ახალი ქართული ოპერა. ამჟამად ჩვენი კომპოზიტორები ახალ ნაწარმოებებზე მუშაობენ. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა **არჩილ კერესელიძემ** გაზეთ „**კომუნისტის**“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— პარტიისა და სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვა იმისათვის, რომ საბჭოთა ხელოვანნი ქმნიდნენ ხალხისათვის, კომუნიზმის სახელით, ახალი შემოქმედებითი მუშაობისათვის შთაგვაგონებს.

ამჟამადაც ხალხისათვის საყვარელ საოპერო ჟანრზე ვმუშაობ. ჩემს ახალ ოპერას ჰქვია „ცისარტყელა“. ლიბრეტო, რომელიც ი. გედევანიშვილის პიესის „მსხვერპლის“ მოტივებზეა შექმნილი, ეკუთვნის ჯ. გელეიშვილს. ოპერის მოქმედება იშლება ჩვენი საუკუნის დასაწყისის ერთერთი ქართული სოფლის ფონზე. ოპერის ლეიტმოტივია ხალხის შეურიგებელი ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ „ერთობის“ ლოზუნგით.

სამმოქმედებიანი ოპერა აგებული იქნება ტრადიციული საოპერო ჟანრისაგან რამდენადმე განსხვავებით. ცხადია, ჩემს მომავალ ნაწარმოებში გვერდს ვერ ავუვლი სოლო ნომრებს: არიას, დუეტს, ტრიოს, გუნდს, ანსამბლს, რადგან, როგორც ცნობილია, ეოკალური საწყისი ოპერის მთავარი კომპონენტია. ოპერის ძირითადი მოქმედი პირი — უნდა იყოს ხალხი. ამ პრინციპით დავწერე „ბაში-აჩუკი“ და „ცისარტყელას“ შექმნის დროსაც ამ პრინციპს დავიცავ.

„ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ“ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ

ᲗᲘᲗᲐᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). რამდენიმე თვითმოქმედი წრე მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბთან. ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევა დრამატული კოლექტივი ტ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

მაღაროელმა მსახიობებმა ახლახან დადგეს „სურამის ციხე“. როლებს კარგად ასრულებენ რ. ჩაჩანიძე, ტ. გაფრინდაშვილი, გ. აბზიანიძე, ვ. ნეფარიძე, ც. ბიწაძე, ზ. ხვედელიძე და სხვები.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში შემავალი სოფლები. შენდება ახალი კლუბ-სამკითხველოები, სოფლის ქუჩები მშვენდება გაზონებითა და სკვერებით. სოფელ ძველ ბიბულში შარშან საეკსპლოატაციოდ გადაეცა კლუბ-კანტორა. კლუბი 800 კაცს იტევს. ახლა ყოველ მეორე დღეს სოფლის მშრომელები ახალ კინოფილმებს უყურებენ. სოფელში გაიხსნა სასადილო.

სახეს იცვლის სოფელი ხეთა. დასასრულს უახლოვდება სოფლის ელექტროფიცირება. მომდინარეობს კლუბ-კანტორის მშენებლობა. ლამაზდება სოფელი ხამისკური. მალე მის ცენტრს დაამშვენებს კულტურის ახალი კერები.

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲭᲣᲘᲒᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). მოხუცებს კი არა, ბევრ პიონერსაც კარგად ახსოვს ის დრო, როცა ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა პირველი ავტობუსი. ეს დიდი მოვლენა იყო აქაურ მეშახტეთა ცხოვრებაში.

საავტომობილო ტრანსპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ქვანახშირის ქალაქში. ახლა მგზავრებს ემსახურება 11 კომფორტაბელური ავტობუსი და 16 ტაქსი. ამ დღეებში ქუჩაში გამოჩნდა კიდევ სამი 32-ადგილიანი ავტობუსი და ორი ტაქსი „ვოლგა“.

ავტოსატრანსპორტო კანტორამ ყველაზე დიდ შახტებში დანიშნა ახალი საავტომობილო მარშრუტები. ლენინის სახელობის შახტის მიმართულებით მოძრაობს ოთხი ავტობუსი, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის შახტის მიმართულებით — სამი.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). ლამაზი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები ამშვენებს საოლქო ცენტრის მოასფალტებულ ფართო ქუჩებს. სისტემატურად იზრდება საცხოვრებელი ფონდი ცხინვალში. მშენებლებმა განსაკუთრებით კარგად იშრომეს გასულ წელს.

1963 წლის დასაწყისში კი უკვე ცხინვალელმა მშრომელებმა სარეკორდო მიიღეს ორი ოცდათექვსმეტბინიანი და ორიც 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ახალ ბინებში შესახლდნენ ქარხნების მუშები და სხვები.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

ᲙᲚᲐᲖᲛᲐ ᲭᲠᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ წვრილი ნაკადი შხუილით გამოდის ხვრელიდან და ლითონზე ნაპერწკლების ფეიერვერკს აყენებს. სულ რამდენიმე წამი, და 50-მილიმეტრიანი სისქის ფოლადის ძელაკი გადაჭრილია. ჩვეულებრივი მექანიკური ჭრის დროს ამ პროცესს ათჯერ მეტი დრო დასჭირდებოდა.

ინონების ნაკადი, რომლებიც ელექტრონულ ველში წარმოიქმნა, შეკუმშული გაზების — არგონისა და ჰაერის ნაკადად ეცემა ლითონს, ათბობს მას უდიდეს ტემპერატურამდე — 15.000 გრადუსამდე.

ლითონების პლაზმური ჭრის ავტომატური დანადგარი კონსტრუირებულია ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში და მიღებულია სერიულ წარმოებაში. ლითონის ჭრის ეს ახალი მეთოდი იძლევა 16 ათასი მანეთის წლიურ ეკონომიას.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘ

ᲐᲡᲚᲝᲗᲘ ნივთიერება მიიღეს ამ ცოტა ხნის წინათ გფრ-ის სპეციალისტებმა. მისი წარმოებისათვის გამოიყენეს ყველაზე უბრალო ნედლეული — ქვიშა, წყალი და თიხა. ეს ნარევი დაამუშავეს სპეციალურ კამერაში 700 გრადუს ტემპერატურაზე ნულის ზეგით და 2000 ატმოსფეროს წნევაზე.

სინთეზურ გრანიტს გამოიყენებენ შენობების მოსაპირკეთებლად, ეროსართიულიანი სახლების ასაშენებლად, სკულპტურული ჯგუფებისათვის.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

Комунисти
ИНДЕКС 66443

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ • ᲡᲞᲝᲠᲢᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲒᲔᲕᲔᲠᲕᲘᲘᲙᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გვიან ღამით რედაქცია ბეევრვიიკში ტელეფონით დაუკავშირდა გროსმაისტერ **ი. ᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘᲡ** და თხოვა მას „კომუნისტის“ მეთხუთველთათვის მოეთხრო თუ რა მოხდა ჰოლანდიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე 25 იანვარს.

აი რა გვაცნობა მან:

თბილისში ალბათ ინტერესით ელიან ცნობას იმის შესახებ, რით დამთავრდა ქალთა ტურნირის მერვე ტურის პარტიები, პირველ რიგში კი ნიკოლაუსა და მსოფლიოს ჩემპიონის გაფრინდაშვილის შეხვედრა. ეს პარტია და საერთოდ მერვე ტურის შეხვედრები არ შემდგარა, რადგან მოულოდნელად 25 იანვარი ტურნირის მონაწილე მოჭადრაკე ქალთათვის გამოცხადებულ იქნა დასვენების დღედ.

მაგრამ შემიძლია გაცნობოთ ერთი სასიხარულო ცნობა — ნონა დიღლით თამამობდა გადადებულ პარტიას ფრეიჰენთან და იგი გამარჯვებით დაადგურგვინა.

გაფრინდაშვილის შედეგი საერთო სიხარულს წვევს, მას შვიდი შესაძლებლობიდან შვიდი ქულა აქვს და ტურნირის ერთპიროვნული ლიდერია. ნიკოლაუსა და ივანოვიჩს — ექვს-ექვსი ქულა აქვთ.

26 იანვარს შედგება უკანასკნელისწინა მერვე ტური.

Ი. ᲓᲝᲜᲔᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ

თᲣ გუშინ ბეევრვიიკში ქალთათვის დასვენების დღე იყო, სამაგიეროდ გროსმაისტერებსა და ოსტატებს მძაფრი საჭადრაკო პაექრობა ჰქონდათ.

ცხადია, პირველ რიგში ყურადღება გამახვილებული იყო ლიდერის ი. დონერისა და საბჭოთა გროსმაისტერის დ. ბრონშტეინის პარტიაზე. მოწინააღმდეგენი რატომღაც არ ცდილან ბრძოლის გაწყვეტებას, მათ არჩიეს თამამის მშვიდობიანი გზა და შედეგიც მშვიდობიანი აღმოჩნდა — ყაიმი. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ბ. პარმა-ა. გერბერის პარტიაში. ი. ივერბახისა და პ. პილნიკის პარტია გადაიდო.

ამრიგად, ლიდერობას კვლავ ი. დონერი ინარჩუნებს, რომელსაც 15 შესაძლებლიდან 10,5 ქულა აქვს. ბ. პარმასა და დ. ბრონშტეინს ათ-ათი ქულა აქვთ. აღსანიშნავია, რომ ბ. პარმამ შეასრულა საერთაშორისო გროსმაისტერის ნორმატივი.

ᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ?

ამ დღეებში რიოდე-ჟანეიროში გამოცხადდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთში — ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდი ევროპაში გაემგზავრება. ნაკრებში აღარ იქნებიან — მეკარე ჟილმარი, მცველები ჯ. სანტოსი, მაურო, ნ. სანტოსი, ნახევარმცველები ზიტო, ზოზიმო, თავდამსხმელები ვავა და ზაგალო. დიდიმ ჯერ კიდევ ადრე დაანება თამაშს თავი და მწვრთნელად მუშაობს.

ევროპაში ჩამოვა განახლებული ნაკრები, რომელიც არანაკლებ ძლიერი იქნება. აქ ძველი შემადგენლობიდან ითამაშებენ გარინჩა (№ 7), ამარილდო (№ 8) და, რაც მთავარია, ბრაზილიის „შავი მარგალიტი“ — პელე. გუნდში შეყვანილია ახალგაზრდა მოთამაშეები ბენე, სილვა, ჟურანდირი, მენგალვიო და პელეს ცნობილი პარტნიორი კუტინიო. შესაძლებელია ითამაშოს პეპემ (№ 11).

ვის წინააღმდეგ ითამაშებენ ბრაზილიელები ევროპაში?

აქ საბოლოოდ მიღწეულია შეთანხმება და დადგენილია შეხვედრების კალენდარი. 21 აპრილს ბრაზილიელთა პირველი მეტოქე ლისაბონში იქნება პორტუგალიის ნაკრები, რომელიც ძირითადად შედგენილია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელ „ბენფიკასაგან“. 24 აპრილს ბრაზილიელები ბრიუსელში ეთამაშებიან ბელგიის ნაკრებს, რომლის მთავარ ბირთვსაც ცნობილი „ანდერლეხტი“ შეადგენს. 28 აპრილს გაიმართება მეტად საინტერესო მატჩი პარიზის „პრინცების პარკის“ სტადიონზე ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს შორის. 2 მაისს ამსტერდამში ბრაზილიელთა მეტოქეები იქნებიან ჰოლანდიელები, 8 მაისს ლონდონის „უიმბლეის“ სტადიონზე — ინგლისელები. 11 მაისს მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ ითამაშებს ეს-ჩემპიონი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. მატჩი გაიმართება ჰამბურგში ან კელნში. 14 მაისს რომის ოლიმპიურ სტადიონზე ბრაზილიელები შეხვდებიან მსოფლიოს მეორე ეს-ჩემპიონს — იტალიის ნაკრებს. დასკვნითს ორ მატჩს ბრაზილიელები ევროპის ფარგლებს გარეთ ჩაატარებენ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲣᲚᲐ

ᲘᲣᲓᲘᲜᲐᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ

ᲑᲔᲕᲠᲘ მუსიკისმოყვარული მიიჩიდა ცნობილი საბჭოთა პიანისტი ქალის **მარია იუდინას** კონცერტმა, რომელიც თბილისში გაიმართა.

ყველა ნაწარმოები, რომლებსაც იუდინა უკრავს თავის კონცერტებზე (სიმფონიური ან სოლო), ჩვენთან პირველად სრულდება. ერთგვარად პირობითი იქნება, რომ მის კონცერტებს თანამედროვე მუსიკის საღამოები ვუწოდოთ (როგორც ეს აფიშებშია აღნიშნული). ნაწარმოებები, რომლებსაც პიანისტი ქალი უკრავს, უმთავრესად 20-30 წლებში დაიწერა (სტრავინსკი, ხინდემიტი, კშენეკი, ბარტოკი, ვებერნი), თუმცა ჩვენი ფართო საზოგადოება ზირველად ეცნობა მათ.

იუდინა საბჭოთა საფორტეპიანო ს